საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1674-03
23/09/2025

„2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს N1144-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, “პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 22 სექტემბრის N16091-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს N1144-02 ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანართში, კერძოდ გამოცხადებული ადგილების რაოდენობაში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ყველა ადმინისტაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი